მარჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი 10(144) 2017 წ. 16-31 მაისი ფასი 50 თეთრი

18 მაისს საგარეჯოშიც აღინიშნა ეროვნული სამოსის დღე

19 მაისს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მეთორმეტე კლასელთათვის ბოლო ზარი დაირეკა

გილოცავთ!

26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა!

ახალი სახელები

ჭრიჭ დიდი ვერსვეჟ-ცივეგია

გარეჯელი, რომელიც მსოფლიო კალათბურთის დასაპყრობად ემზადება

საგარეჯოს რაიონთან მშობლების მშობლიური სოფელი აკავშირებს – სოფელი ბადიაური. თბილისში გაიარა მისმა ბავშვობამ, 2015 წლამდე თბილისის ლამაზ ადგილებს, ღირშესანიშნაობებს ეცნობოდა მშობლებთან და უფროსთან დასთან – თათიასთან ერთად. მაგრამ. . . თითქოს დრო არ ჰყოფნიდა, - სკოლაში, თბილისის 23-ე საჯარო სკოლაში ერთ-ერთ წარმატებულ, ნიჭიერ მოსწავლედ ითვლებოდა, კალათბურთის სპორტულ დარბაზში დრო ისე გადიოდა, ენანებოდა იქიდან გამოსვლა... მაინც ასწრებდა – ერთ ხელში წიგნი ეჭირა 6 წლიდან, მეორე ხელში ბურთი და ისე "კენწლავდა", როგორც კალათბურთის თამაშის დროს. . . წლები წლებს მიჰყვა. . . სკოლაში მისულ დედას – ლელა ჩოკოშვილს პედაგოგები შვილის წარჩინებულ სწავლას ულოცავდნენ, კალათბურთის დარბაზში მისულ მამას, ერთ დროს კალათბურთელ გოჩა ბითაძეს (მეტსახელად "რემბო") გოგას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ... წლების მატებასთან ერთად სიმაღლეც ემატებოდა და დღეს, 17 წლის ასაკში გოგა 2 მეტრი და 13 სანტიმეტრი სიმაღლისაა. გოგას დღეს სერბეთის "mega bemax"-ის 18 წლამდე გუნდის პერსპექტიულ ქართველ წევრად თვლიან კალათბურთის მესვეურნი. როგორც "Georgia Basketball Federation" იუწყება, "mega bimax"-ის 18 წლამდელთა გუნდის პერსპექტიული ქართველი წევრი – გოგა ბითაძე გამოცდილების მისაღებად და კლასის ასამაღლებლად სერბეთის უმაღლესი ლიგის კლუბ "სმედეროვოშია" დროებით, სადაც ნელ-ნელა ლიდერად ყალიბდება". "ბითაძე სასტარტო ხუთეულში ხშირადაა და მოედანზე ხშირად 29-32 წუთიც გაუტარებია. ქართველ ცენტრს შეუძლია ერთ თამაშში 7-დან 5 ორქულიანი, 4-დან 2-3 ორქულიანი და 2-დან 2 საჯარიმოს ჩაგდება. ჯამში შეუძლია, გუნდის მიერ მოპოვებულ ვთქვათ, 86 ქულიდან მის ანგარიშზე იყოს – 18 ქულა, 11 მოხსნა, 2 პასი და დაფარება. ქართველი ლეგიონერის სარგებლობის ინდექსი ასეთ შემთხვევაში 24 ერთეულს შეადგენს და 2 ქულით თუ ჩამორჩება ორ თანაგუნდელს". "mega

bemax"-ის გამარჯვებებში გოგა ბითაძეს დიდი წვლილი შეაქვს."

მართლაც საამაყოა ჩვენთვის, საგარეჯოელებისთვის გოგა ბითაძის წარმატებები – იგი ხომ მსოფლიოში ცნობილი კალათბურთელების ფაჩულიას, დვალიშვილის, სანაძის, შარაბიძის, შერმადინის, ბურ-

დასასრული მე-8 გვერდზე

ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე

მსოფლიო თასზე – სამი ვერცხლი, 1 ბრინჯაი

დათუნამ კვლავ თავი ისახელა

როგორც ჩვენი გაზეთის №6-ში ვიუწყებოდით, ოკინავური გოჯუ-რიუ კარატეს მიმდევარი, წარმოშობით საგარეჯოელი **დავით (უმცროსი) ლაფაჩიშვილი** აპრილის ბოლოს მსოფლიო პირველობისათვის ემზადებოდა და აი უკრაინის ქალაქ ოდესაში ოკინავური გოჯუ-რიუ კარატეში მსოფლიო თასის მორიგი გათამაშება გაიმართა. ბრძოლაში სხვადასხვა ქვეყნების სპორტსმენებს შორის საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა, რომლის შემადგენლობაში საქართველოს 11-გზის ჩემპიონი, შავი ქამრისა და პირველი დანის მფლობელი 14 წლის დავით ლაფაჩიშვილიც იყო. მან ამ ბრძოლებში 3 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მებრძოლი, რომელსაც საერთოდ 43 კგ წონით კატეგორიაში უხდება გამოსვლა 47 კგ წონითი კატეგორიის მებრძოლებთან ღირსეულად და თავდაჭერილად იბრძოდა... თუმცა, თავისი არცთუ ისე მცირე ნადავლით უკმაყოფილოა – უბრალოდ მეტი სიფხიზლე უნდა გამომეჩინა და ძალების მეტად მობილიზებაზე უნდა მეზრუნაო, – გასული ბრძოლების ანალიზიდან ამბობს დათუნა.

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირები

16 მაისი, 2017 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე*** **გიორგი რევაზიშვილი** უძღვებოდა.

თათბირის დასაწყისში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს ***საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა*** **ნიკო ჯაფახიშვილმა** გააკეთა ინფორმაცია მიმდინარე ეტაპზე ვაზის შესაწამლი პრეპარატების სახეობაზე. როგორც მან აღნიშნა, ამ ეტაპზე სასურველია ვაზის წამლობა ჩატარდეს სისტემური ჯგუფის წამლებით. ამასთან აღნიშნა ისიც, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების პარაზიტი ჭიებით დასნებოვნების თავიდან ასაცილებლად და შემდეგში პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩასატარებლად სოფლის მეურნეობის სამიონისტროს შესაბამისი სამსახურის მიერ ჩვენს ტერიტორიაზე არსებული მეცხოველეობის ფერმებიდან აღებული იქნა მასალა გამოსაკვლევად. აქვე აღნიშნა, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეინიშნება ერთწლიან და მრავალწლიან მცენარეებზე მწერის – შავფარიანების გავრცელება, რომელსაც შესაბამისი ყურადღება უნდა მიექცეს.

როგორც გამგებლის წარმომადგენლების მიერ თათბირზე წარმოდგენილი ზეპირი ინფორმაციებით ირკვევა, ზოგიერთ სოფელში კვლავ პრობლემად რჩება სასმელი წყლის დაზიანებული მონაკვეთების ამოცვლის, მოსახლეობის კუთვნილ სავარგულებამდე მისასვლელი გზების მოწესრიგების საკითხები. აღნიშნულის შესწავლა და მოწესრიგება თათბირზე დაევალა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელს **ბექა ფეიქრიშვილს** და შპს „საგარეჯოს“ დირექტორს **სანდრო უსტიაშვილს.**

თათბირზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **არჩილ ჯაბადარმა** გამგებლის წარმომადგენლებს სთხოვა იმ ეკლესია-მონასტრების, სამლოცველოების, საკულტო ნაგებობათა დასახელება მოეწოდებინათ აღნიშნული სამსახურის თანამშრომელთათვის, რომლებიც კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულებშია.

23 მაისი, 2017 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, გამგებლის I მოადგილე*** **მიხეილ სვიმონიშვილი** უძღვებოდა. თათბირის დასაწყისში მან მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების გამგებლის წარმომადგენლებს მიაწოდა ინფორმაცია – „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის პროექტებიდან გასულ წელს მორჩენილი თანხებიდან შესასრულებელი სამუშაოებისათვის ტენდერი უახლოეს დღეებში გამოცხადდება, რის შემდეგაც დაიწყება იმ პრიორიტეტული საკითხების მოგვარება, რომლებიც მუნიციპალიტეტის ცალკეული სოფლების მოსახლეობამ საერთო კრებებზე დააყენა.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა **გიორგი ძურდოვანიძემ** და ამავე სამსახურის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ბექა ფეიქრიშვილმა** ტერიტორიული ორგანოების გამგებლის წარმომადგენლებიდან მოისმინეს და ჩაინიშნეს ის პრობლემები, რომლებიც სასწრაფო და დროულ მოგვარებას მოითხოვს. ეს შეეხო პატარა ჩაილურის გზის მოწესრიგებას, თოხლიაურის ხევში დამბის გაკეთებას, მზისგულში – ელექტროგადამცემი ხაზების საყრდენი ბოძების შეცვლას, ნინოწმინდაში საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილი ყუთების ნორმალურ განთავსებას და ა.შ.

თათბირზე საუბარი შეეხო, ასევე, სოფელ ყანდაურაში სასმელი წყლისათვის საჭირო ორი ცალი ავზის დადგმის აუცილებლობას და სოფელ ბადიაურში რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული, მიმდინარე წელს განსახორციელებელ 500 ათას ლარიან პროექტში გასათვალისწინებელი ცვლილებების შეტანას, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საქმეში შექმნილი პრობლემური საკითხის საბოლოო გადაჭრას.

კონკრეტული დავალებები მიეცა შპს „საგარეჯოს“ (დირექტორი სანდრო უსტიაშვილი) ხელმძღვანელობას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პრობლემების მოსაგვარებლად.

ინფრასტრუქტურა – 2017

23 მაისს დასრულდა ე.წ. “მღვრიე ხევში” 9-10 დღის განმავლობაში მიმდინარე სამუშაოები. ხევი სათავეს იღებს ცივის მთიდან, ჩამოუყვება ჯერ სოფელ ჩაილურს, შემდეგ - სოფელ მანავს და უერთდება ივრის ხეობას. უხვი ნალექების დაგროვების შემთხვევაში, ხევი დიდდება და განსაკუთრებით სოფელ მანავის მოსახლეობას აყენებს ზიანს - ტბორავს მათ კუთვნილ ვენახებს და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთებს.

სწორედ მანავის მიმდებარე ტერიტორიაზე, წყალდიდობების შედეგად, “მღვრიე ხევის” ნაპირები მრავალ ადგილას იყო დაზიანებული და დაუცველი. ხევის კალაპოტი სავსე იყო ნატანით. შპს “საგარეჯოს” ბალანსზე არსებული სპეც.ტექნიკის (“ესტოს”) მეშვეობით ხევი არაერთ ადგილზე გაღრმავდა, გაიწმინდა, შეკეთდა და გამაგრდა სანაპირო ჯებირები.

შესრულებული სამუშაოები შპს “საგარეჯოს” დირექტორმა სანდრო უსტიაშვილმა და დირექტორის მოადგილემ ლევამ ქვლივიძემ დაათვალიერეს, რომლებიც მთელი გასული პერიოდის განმავლობაში სამუშაოების მიმდინარეობის კონტროლს ახორციელებდნენ და მაქსიმუმს აკეთებდნენ სპეც.ტექნიკის გამართული ფუნქციონირებისთვის.

შპს „საგარეჯოს“ დირექტორი სანდრო უსტიაშვილი მითითებებს აძლევს მძღოლს ნიკოლოზ როსტომაშვილს

სოფლის მეურნეობა

მელიორაცია

„ბებერ არხს“ რწყვისათვის ამზადებენ

„ბებერი არხი“, ასე ეწოდება მამაპაპურ, მიწაში ხელით გაჭრილ სარწყავი წყლის არხს, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის ქვემო ზონის სოფლების: კაკაბეთის, ვერხვიანის, ყანდაურის, ბოგდანოვკისა (მზისგულის) და შიბლიანის სავარგულების გასარწყავებას ემსახურება. დღეს დანამდვილებით თითქმის აღარავის ახსოვს, თუ როდის, ან ვინ დაჭრა პირველად ბარი მიწას ამ მადლიანი საქმის გასაკეთებლად, მაგრამ, ფაქტია, რომ გარეკახეთის ეს უძველესი საირიგაციო ქსელი დღესაც უღალატოდ ემსახურება აღნიშნული სოფლების მოსახლეობას – მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელი გვალვების წინააღმდეგ ბრძოლასა და უხვი მოსავლის მიღების საქმეში.

– „ბებერი არხის“ წყალუზრუნველყოფა მდინარე ივრის კალაპოტის მეშვეობით ხორციელდება, – გვეუბნება ***„ქვემო სამგორის სერვის ცენტრის“*** მარცხენა მაგისტრალური არხის უფროსი **ნოდარ ლაფაჩიშვილი** (ვის დაქვემდებარებაშიც ეს არხია), კერძოდ, ყორუღის ნაკრძალში შემოდის ივრის ერთი „ტოტი“ – ნაკადი, რომელსაც სათავე ყორუღშივე აქვს და აქედან ხდება სარწყავი წყლის მიწოდება ზემოაღნიშნული სოფლების მოსახლეობისათვის. არხის გაკეთების ისტორია დღეს აღარავის ახსოვს, ალბათ ამიტომაც ჰქვია „ბებერი არხი“. მისი საერთო სიგრძე 16 კმ-ია. მისი წყლის მიწოდების ბოლო წერტილი სოფელ მზისგულის სავარგულებია. იგი გარს უვლის მათ და ჩაედინება კაჭრეთის წყალშემკრებ კოლექტორში, აქედან კი ისევ მდინარე იორში. ასეთია, მოკლედ ამ არხის ისტორია.

– როგორც ამ არხის უფროსს, ალბათ დადგენილი გექნებათ მთლიანობაში რამდენი ჰექტარი სავარგულის გასარწყავებას ემსახურება ეს არხი?

– რა თქმა უნდა, ამ ფართობების რაოდენობა 1200 ჰა-მდეა, რასაც ემსახურება არხზე მოწყობილი 32 გამშვებ-გამანაწილებელი ფარი.

– როგორია არხის გამტარუნარიანობა და უზრუნველყოფს თუ არა იგი დიდი გვალვების პერიოდში სარწყავ წყალზე მოთხოვნილების სრულ დაკმაყოფილებას?

– ჩვეულებრივ პირობებში ბებერი არხი უზრუნველყოფს 2მ3 წყლის გატარებას, თუმცა, პიკის პერიოდში შეუძლია უზრუნველყოს 3 მ3-ის გატარებაც.

– გავიგეთ, წელს არხზე ფილტრაციის საწინააღმდეგო სამუშაოები ჩაგიტარებიათ. კერძოდ, სად, ვინ დააფინანსა აღნიშნული ღონისძიებები და ვის მიერ შესრულდა?

– მოგეხსენებათ, რომ „ბებერი არხი“ მთლიან 16 კმ-ზე მიწისაა, ამიტომ, ზოგიერთ მონაკვეთზე ხდება წყლის ფილტრაცია, ანუ ადგილი აქვს სარწყავი წყლის დანაკარგებს. სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად, ბადიაურის ბოლოზე, ე.წ. ყოფილი „კამეჩების ბინის“ მიმდებარედ 470 გრძივ მეტრზე მოხდა არხის მოპირკეთება არმატურისა და ბეტონის გამოყენებით, რის შემდეგაც აღარ მოხდება წყლის გაჟონვა, რასაც აქამდე ხშირად ჰქონდა ადგილი. რაც შეეხება სამუშაოების დაფინანსებასა და შესრულებას, იგი დაფინანსდა ჩვენი კომპანიის მიერ და შესრულდა ჩვენი ძალებით, რის სამუშაოებზეც დასაქმებული იყვნენ როგორც საგარეჯოს, ისე ბადიაურის მაცხოვრებლები: ექსკავატორის ტექნიკური ოპერატორები: ვასილ ალექსაშვილი, ვარლამ ბარიხაშვილი, ელშემდუღებელი ანზორ დევდარიძე, მუშები – იმედა ჩოკოშვილი, გივი ჩალათაშვილი, გელა დარბაისელი, გიორგი ოთიაშვილი, ნუგზარ ლაფერიშვილი და სხვები.

– აღნიშნული ფილტრაციის საწინააღმდეგო სამუშაოების გარდა, – საუბარში გვერთვება ***სერვის-ცენტრის მთავარი ინჟინერი*** **დიმიტრი მჯედლიშვილი,** – წელს ასევე განხორციელდა არხის კალაპოტის წმენდა 4 კმ მანძილზე. ასევე, რამდენიმე ადგილზე შესწორდა არხის მიმდებარე ქანობი. რაც შეეხება არხში წყლის მიწოდებას, ჯერჯერობით სარწყავ წყალზე მოთხოვნა არ არის და ამიტომ სადღეისოდ თავს ვიკავებთ მისი გაშვებისგან.

– რა თქმა უნდა მაისის უხვნალექიან პირობებში, სარწყავი წყალი არავის დასჭირდება, მაგრამ ზაფხულის მომდევნო თვეებში მასზე მოთხოვნა ყველას გაუჩნდება და აქვე ჩნდება კითხვაც – ძველებურად იგივე დარჩება და ხომ არ შეიცვლება სარწყავ წყალზე გადასახადი?

– სარწყავ წყალზე გადასახადში რაიმე ცვლილება არაა და არც იგეგმება, იგი ძველებურად დარჩება და ჯერადობის მიუხედავად ყოველ 1 ჰა მიწაზე ისევ 75 ლარი იქნება. რაც შეეხება ამ არხიდან წყლით მომხმარებლების მომსახურებას, ამას ამ უბნის უფროსი და გამოყოფილი მარეგულირებლები უზრუნველყოფენ. ისე, რომ განახლებული „ბებერი არხი“ ძველებურად მოემსახურება ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკებს უხვი მოსავლის მიღების საქმეში.

გივი დაბახიშვილი

წარსულის ფურცლებიდან

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლნი

ქაქუცას შეფიცულები საგარეჯოდან

„**ვარდების** რევოლუციის“ ორი წლისთავის აღსანიშნავ დღესასწაულს წინ უძღოდა საფრანგეთიდან, ლევილის ქართველ ემიგრანთა პანთეონიდან საქართველოს ეროვნული გმირის ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილის ნეშტის ჩამოსვენება და ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვა.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა უკანასკნელი ვალი მოიხადა და პატივი მიაგო თავის ღირსეულ შვილს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ღირსეულად დაგვირგვინებისათვის, მაგრამ ძალთა უთანასწორობის გამო ბოლოს უაზრო სისხლისღვრას თავი აარიდა და თავი ცოცხლად გადარჩენილ ზოგიერთ თანამებრძოლთან ერთად ემიგრაციაში წავიდა.

ახალი თაობის ბევრმა წარმომადგენელმა არც კი იცის, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილს ბევრი რამ აკავშირებდა საგარეჯოსთან, მის ღირსეულ შვილებთან, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა ოფიციალური პროპაგანდა და მისი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ყოველნაირად ცდილობდა, ხალხი, მომავალი თაობა დაერწმუნებინა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი ხალხის მტერი, ბანდიტი, ყაჩაღი და სისხლის მსმელი იყო, ყოველნაირი ღონისძიებებით არწმუნებდა მათ ქაქუცას ავკაცობაში, თუმცა სასწაულით ცოცხლად გადრჩენილი ჭეშმარიტი მამულიშვილები გულში ინახავდნენ ამ ეროვნული გმირის ხსოვნას. როდესაც XX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ საჯაროდ ააფრიალეს ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი დროშა, ამ დროშებთან ერთად ამაყად მოჰქონდათ ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტები. აი, მაშინ გახდა ფართო საზოგადოებრიობისათვის ცნობილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის ღვაწლი, გმირული შემართება.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი (ნათლობის სახელი ქაიხოსრო) პირდაპირი ჩამომავალი იყო სახელოვანი წინაპრის, საქართველოში კარგად ცნობილი სახალხო გმირის ბიძინა ჩოლოყაშვილისა (XVIIს). იგი დაბადებულა კახეთში, მამაპაპისეულ სოფელ მატანში, სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში. სამხედრო სამსახური გაიარა რუსეთში, მონაწილეობდა I მსოფლიო ომის ბრძოლებში ავსტრია-უნგრეთის ფრონტზე. მძიმედ დაჭრის შემდეგ იგი ზურგში გადმოაგზავნეს...

ჰოსპიტალში მკურნალობის შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილი რუსეთის სარდლობამ როგორც დრაგუნთა ცხენოსანი ჯარის ოფიცერი, ცხენოსანი რაზმის უფროსად დანიშნა და საგანგებო დავალება მისცა – ხიფათებით აღსავსე გზაზე გააგზავნა ინგლისელთა სარდლობის შტაბში. ქაქუცამ საგულდაგულოდ შეარჩია ამ ესკადრონის შემადგენლობა, რომელშიც მოხვდა აგრეთვე მისი მეგობარი და მასთან ბრძოლაში გამობრძმედილი თანამებრძოლი, საგარეჯოს მკვიდრი, პორუჩიკი **იაკობ ფანოზიშვილი** (*სურათზე*).



ქაქუცა ჩოლოყაშვილმა 1915 წლის ზაფხულში ბრწყინვალედ შეასრულა გენერალ-ლეიტენანტ ბარათაშვილის დავალება. აგვისტოს ხვატში ცხენდაცხენ გადალახა მესოპოტამიის გადახრუკული უდაბნო და მდინარე ტიგროსის ნაპირებზე განლაგებულ ინგლისის საექსპედიციო კორპუსს ჩაუტანა რუსეთის არმიის სტრატეგიული გეგმა ფრონტზე ერთობლივი მოქმედებების შესახებ.

ამ ოპერაციის ბრწყინვალედ შესრულებისათვის რუსეთის სარდლობამ ქაქუცა ჩოლოყაშვილი გიორგის ჯვრითა და ოქროს ხმლით დააჯილდოვა, ხოლო მისი მეგობარი იაკობ ფანოზიშვილი სხვა მებრძოლებთან ერთად დაჯილდოვდა გიორგის ჯვრით.

ამ და სხვა ხიფათებით აღსავსე ბრძოლებმა სამუდამოდ დაამეგობრა ქაქუცა ჩოლოყაშვილი და იაკობ ფანოზიშვილი.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ფიცვერცხლნაჭამ მეგობარს წარმოადგენდა აგრეთვე გიორგიწმინდის მკვიდრი, ბრძოლებში გამობრძმედილი პოლკოვნიკი **ელიზბარ გულისაშვილი**. მათი მეგობრობა ბოლოს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გამოვლინდა.

საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს აგრესიისა და ოკუპაციის შემდეგ დაიწყო ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის დანაწევრება-გასაჩუქრება. ქართველმა ბოლშევიკებმა თურქეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს და რუსეთს აჩუქეს საქართველოს ტერიტორიის 19491 კვადრატული კილომეტრი.

უბედურება ის იყო, რომ არც ეს აკმარეს ბედკრულ საქართველოს ქართველმა ბოლშევიკებმა. საქართველო რომ უფრო დაენაწევრებინათ და წელში გაეწყვიტათ, 1921 წლის 16 ივლისს აჭარას, ხოლო 1922 წლის 20 აპრილს სამხრეთ ოსეთს მიანიჭეს ავტონომიის უფლება, 1921 წლის 21 მარტს აფხაზეთი გამოგლიჯეს დედა-სამშობლო საქართველოს და იგი დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადეს, თუმცა 1921 წლის დეკემბერში ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით საქართველოს შემადგენლობაში დააბრუნეს.

უფრო მეტად რომ დაებეჩავებინათ ქართველი მოსახლეობა, დაიწყო სისხლიანი ტერორი, გაუსამართლებლად ხვრეტდნენ ქართველ სამხედროებს: გენერლებს, ოფიცრებს, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს. გაუგონარი რეპრესიები გატარდა თავადაზნაურობისა და სამღვდელოების მიმართ. ეს არაადამიანური რეპრესიები ქართველი საზოგადოებრიობის დიდ უკმაყოფილებასა და აღშფოთებას იწვევდა.

დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობისა, არ ჩამქრალა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა. ჯერ კიდევ საქართველოდან საზღვარგარეთ მთავრობის ევაკუაციის შემდეგ ბათუმიდან დაბრუნებული ქაქუცა ჩოლოყაშვილი თბილისში ხვდება გენერალ კონსტანტინე აფხაზს (ილია ჭავჭავაძის დისწულს) და დებენ შეთანხმებას, რათა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა კახეთში ჩამოაყალიბოს პატრიოტული ორგანიზაცია „საქართველოს შეფიცულები“ და გააჩაღოს პარტიზანული მოძრაობა. ქაქუცა ჩოლოყაშვილი წარმატებით ართმევს თავს ამ დავალებას და თავისი შეფიცულებით იწყებს ლეგენდარულ ოთხწლიან ომს ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. ამ სამართლიან ბრძოლაში გარეკახეთის (შემდეგ საგარეჯოს რაიონის) პატრიოტებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს. საგარეჯოსა და მის ახლო-მახლო სოფლებში მძლავრად იფეთქა საბჭოთა დამპყრობელთა წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლებმა.

მაშინდელი გარე-კახეთის ცენტრს თბილისის მაზრის სოფელი სართიჭალა წარმოადგენდა, მაგრამ გარე-კახეთის ფაქტობრივი ცენტრი საგარეჯო იყო, სადაც ჯერ კიდევ 1921 წლის ივნისში ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლმა იაკობ ფანოზიშვილმა ჩამოაყალიბა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სამხედრო ცენტრი. აი, რას ამბობს გერეჯელი შეფიცულების შესახებ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ერთ-ერთი თანამებრძოლი **იოსებ მაისურაძე**, რომელიც სასწაულებრივად გადაურჩა საბჭოთა რეპრესიებს, თითქმის 30 წელი დაჰყო ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სიკვდილის ბანაკებში და მაინც ცოცხალი დაბრუნდა სამშობლოში. მან 100 წელი იცოცხლა და გარდაიცვალა 1999 წელს. მომყავს ამონარიდი მისი მოგონებიდან: საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დღეებში გარეკახეთში ხალხი მტრულად განეწყო ახალი მოძალადე ხელისუფლების მიმართ, ამიტომ პატარძეულში ჩამოვაყალიბეთ საიდუმლო მებრძოლთა ორგანიზაცია, რომელშიც დიდი ხალისით ეწერებოდნენ სამხედრო საქმის მცოდნე სოფლის ახალგაზრდები. სამხედრო ხელმძღვანელად ავირჩიეთ **გორია მენაბდიშვილი**. საიდუმლო სამხედრო თათბირი დავნიშნეთ ბერთუბანში, სადაც ჩვენი რაზმი დავყავით ათეულებად, ოცეულებად და ასეულებად. შეიარაღებული ასეულის უფროსად დავნიშნეთ, როგორც გერმანიის, ისე თურქეთის ფრონტებზე ბრძოლებში გამობრძმედილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ფიცვერცხლნაჭამი ოფიცერი **პოტე ოთარაშვილი** (თაგვის ბიჭი). იარაღის ნაკლებობას განვიცდიდით, მაგრამ ეს საქმე მოგვიგვარა ქაქუცა ჩოლოყაშვილის საბრძოლო მეგობარმა, ჩვენთვის კარგად ცნობილმა იაკობ ფანოზიშვილმა.

შეფიცულთა ერთეულებს საერთო ხელმძღვანელობას უწევდა საგარეჯოდან იაკობ ფანოზიშვილი, რომელსაც სისტემატური კავშირი ჰქონდა ქაქუცა ჩოლოყაშვილთან.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი საბრძოლო რეიდებს აწყობდა კახეთის თითქმის ყველა რაიონში, მაგრამ მისი პარტიზანული რაზმი მობილური იყო და მოულოდნელად იცვლიდა ხოლმე ბანაკს. იგი ძირითადად ტყეებში აწყობდა ხოლმე თავის ბანაკებს და ერთ-ერთი მისი საბინაო იყო საგარეჯოში, „ბებერი კლდის“ მიმდებარე დასავლეთის მხარე. ეს საბინაო იმდენად შეუმჩნეველი იყო უცხო თვალისათვის, რომ შუა-ფიჩხის შემგროვებელი თუ ტყის ხილზე მოსიარულე ხალხიც კი ხშირად ვერ ამჩნევდა მათ. „ქაქუცას საბინაოსთან“ მუდმივი კავშირი ჰქონდათ იაკობ ფანოზიშვილის რაზმსა და პატარძეულელ შეფიცულებს. ქაქუცა ჩოლოყაშვილის პარტიზანულ რეიდებში აქტიურად მონაწილეობდნენ პატარძეულელი **გორია მენაბდიშვილი,**

დასასრული მე-6 გვერდზე

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური

ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიების, მუნიციპალური პროგრამების, პროექტების შემუშავება და დამტკიცებული დოკუმენტების განხორციელების კოორდინაცია, მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქმშენებლობის დოკუმენტების შემუშავების, მშენებლობის ნებართვების თაობაზე გადაწყვეტილებების მომზადების, მშენებლობაზე და არქიტექტურულ საქმიანობაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფა, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება, მუნიციპალიტეტის ქონების მართვა.

სამსახურის უფროსი

გიორგი ქურდოვანიძე

დაიბადა 1984 წელს

განათლება: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტი, მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი (2002-2007წწ).

სამუშაო გამოცდილება: ექსპედიტორი – ფარმაცევტული კომპანია „ “ (2008-2013წწ); მთავარი სპეციალისტი არქიტექტურულ-სამშენებლო საკითხებში – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური (2013წ); გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა (2013წ); განყოფილების უფროსი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების და ქონების მართვის სამსახური (2014წ); 2014 წლის 14 აგვისტოდან დღემდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსია.

სამსახურის მთავარი სპეციალისტი ეკონომიკური განვითარების საკითხებში

მაია ფანოზიშვილი

დაიბადა 1978 წელს

განათლება – ჟურნალისტი – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;

სამუშაო გამოცდილება: – კორექტორი – საგარეჯოს რაიონული გაზეთი „კახეთის კარიბჭე“ (1999-2004წწ); წამყვანი სპეციალისტი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური (2004-2008წწ); 2008 წლიდან დღემდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მთავარი სპეციალისტია ეკონომიკური განვითარების საკითხებში.

სამსახურის მთავარი სპეციალისტი ეკონომიკური განვითარების საკითხებში

ნინო ონაშვილი

დაიბადა 1987 წელს

განათლება – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

სამუშაო გამოცდილება – 2013 წლის აპრილიდან დღემდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მთავარი სპეციალისტია ეკონომიკური განვითარების საკითხებში.

ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარებისა და სტატისტიკის განყოფილება

განყოფილების უფროსი

დავით ხატიაშვილი

დაიბადა 1963 წელს

განათლება: ინჟინერ-მეტალურგი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; მეტალურგიის ფაკულტეტი (1980-1985 წწ);

სამუშაო გამოცდილება: დისპეტჩერი – საგარეჯოს სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმი (1986-1987წწ); თავმჯდომარის მოადგილე – „საქსოფქიმიის“ საგარეჯოს რაიგაერთიანება (1987-1998წწ); ელექტროტექნიკოსი – კახეთის ჰიდრომეტეოროლოგიური და რადიოლოკაციური სამსახური (2002-2004წწ); ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი (2009-2010წწ); არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი (2010-2011წწ); არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი (2011-2013წწ); ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეცისლისტი (2013-2014წწ); საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა (2014 წლიდან დღემდე).

მთავარი სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში

ლალი ზაბახიძე

დაიბადა 1974 წელს

განათლება – ფიზიკოსი, ივ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება: პედაგოგი – შპს „თამარი გარეჯელის“ სკოლა (2012-2013წწ); 2013 წლის 1 ივლისიდან დღემდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის მთავარი სპეციალისტია ქონების მართვის საკითხებში.

მთავარი სპეციალისტი ეკონომიკური განვითარების საკითხებში

დავით რევაზიშვილი

დაიბადა 1982 წ.

განათლება – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი – პროდუქციის ხარისხის ექსპერტ-აუდიტორი, ინფორმატიკა, მართვის სისტემები (2000-2005წწ); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგი, აგრო სისტემებისა და ბიოინჟინერიის ფაკულტეტი (2014-2016წწ).

სამუშაო გამოცდილება – უფროსი მუშა, საგარეჯოს სამშენებლო საწარმო №1 (1999-2000წწ), პრომოუტერი, „საქართველოს ბანკი“ (2007წ); მთავარი ბუღალტრის თანაშემწე „ემ თი ეს“ კომპანი (2011წ); საწყობის გამგე – შპს „თბთ ჯგუფი“ (2012წ); მთავარი სპეციალისტი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა (2013-2014წწ); 2015 წლის მარტიდან დღემდე ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარებისა და სტატისტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტია ეკონომიკური განვითარების საკითხებში.

სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში

ლევან ნაკულაშვილი

განათლება – საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი – ბუღალტერ-ეკონომისტი (1990-1996წწ); ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი – იურისტი, სამართალმცოდნეობა (2000-2004წწ).

სამუშაო გამოცდილება: ეკონომისტი – საგარეჯოს საბინაო-კომუნალური მეურნეობა (1995-1996წწ); ინსპექტორი – საგარეჯოს საგადასახადო ინსპექცია (1996-1998წწ); თავმჯდომარის თანაშემწე – ქალაქ საგარეჯოს გამგეობა (1998-2003წწ); სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების განყოფილების წამყვანი სპეციალისტი – საგარეჯოს რაიონული გამგეობა (2003-2006წწ); არასაგადასახადო შემოსავლების განყოფილების სპეციალისტი – საგარეჯოს რაიონული გამგეობა (2006-2007წწ); ეკონომიკური განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა (2008წ); ეკონომიკის განვითარების მთავარი სპეციალისტი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა (2008-2009წწ); ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი (გზებისა და ინფრასტრუქტურის საკითხებში) – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა (2009-2014წწ); 2014 წლიდან დღემდე ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსია.

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის მთავარი სპეციალისტი

გოგიტა ბერძაური

დაიბადა 1976წელს.

განათლება – საშუალო

სამუშაო გამოცდილება – სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური (1997-2001წწ); საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (2002-2010წწ);

2014 წლიდან დღემდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის მთავარი სპეციალისტია.

მთავარი სპეციალისტი ინფრასტრუქტურის საკითხებში

გიორგი თედიაშვილი



დაიბადა 1989წელს

განათლება – უმაღლესი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება – შსს სპეციალური ოპერაციების ცენტრის მსროლელი (2001-2012წწ); 2013 წლიდან დღემდე მთავარი სპეციალისტი ინფრასტრუქტურის საკითხებში

მთავარი სპეციალისტი

ვასილ აზარიაშვილი



დაიბადა 1963 წელს

განათლება – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1981-1986წწ);

სამუშაო გამოცდილება – სხვადასხვა დროს საგარეჯოს მოძრავ-მექანიზებული კოლონა №1 საწარმოო ტექნიკური განყოფილების ინჟინერი, ნორმადარი, საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი (1986-1998წწ); შპს „ფარნავაზი“, შპს „მართვე-2007“ – სამუშაოთა მწარმოებელი (1998-2012წწ); 2013 წლიდან დღემდე

დასასრული მე-5 გვერდზე

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური

დასასრული

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის მთავარი სპეციალისტია.

მთავარი სპეციალისტი
ალიკო გელაშვილი
დაიბადა 1955 წელს

განათლება – კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა (1970-1972წწ); საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, საინჟინრო-ფიზიკური ფაკულტეტი (1972-1978წწ); სპეციალობა – ელექტრონული ტექნიკის ინჟინერი.

სამუშაო გამოცდილება – ინჟინერი – საკავშირო კვლევითიო ინსტიტუტი (ВНИПИА) ავტომრეწვი (1978-1980წწ); უდაბნოს საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი (1980-1984წწ); უდაბნოს საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის უფროსი (1980-1984წწ) უდაბნოს მეცხოველეობის მეურნეობის მთავარი ენერგეტიკოსი (1985-1986წწ); თბილისის მეტროპოლიტენი, ესკალატორების დისტანციის უფროსი (1988-1991წწ); უდაბნოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი (1995-2001წწ); ზემო სამგორის სარწყავი სისტემების სამმართველოს უდაბნოს უბნის უფროსი (2001-2006წწ); სოფ. უდაბნოს გამგებლის თანაშემწე (2008-2009წწ); უდაბნოს გამგებელი (2009წ); საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი (2001-20014წწ); 2014 წლიდან დღემდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მთავარი სპეციალისტია.

მთავარი სპეციალისტი
რომან სურმანიძე

დაიბადა 1982 წელს.

განათლება – სამართალმცოდნე, საქართველოს სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტი (2000-2005წწ)

სამუშაო გამოცდილება – შპს „იღბლიანი“ – დირექტორი (2006-2009წწ); 2013 წლიდან დღემდე არის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ბექა ფეიქრიშვილი
დაიბადა 1989 წელს.

განათლება – თბილისის მევენახეობა-მეღვინეობის, ხილბოსტნეულის ტექნოლოგიისა და სპეციალისტთა გადამზადების ინსტიტუტი (2006-2010 წწ).

სამუშაო გამოცდილება – სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი (2012-2013წწ); მთავარი სპეციალისტი ზედამხედველობის სამსახური (2014წ); ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის საკითხებში (2014წ); 2014 წლიდან დღემდე ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელია.

მთავარი სპეციალისტი მშენებლობისა და არქიტექტურის საკითხებში
სანდრო გაბნიაშვილი
დაიბადა 1970 წელს

განათლება: მოსე თოიძის სახელობის პროფტექნიკური სასწავლებელი (1987. 1989წწ), ფერწერის ფაკულტეტი; თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (1989-1996წწ) ფაკულტეტი – დაზგური ფერწერა, პროფესია – მხატვარი.

სამუშაო გამოცდილება: მუსიკალური კომედიის თეატრის მხატვარ-დეკორატორიო (1987-1989წწ). 2013 წლის აპრილიდან დღემდე ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების მთავარი სპეციალისტია მშენებლობისა და არქიტექტურის საკითხებში.

სპეციალისტი არქიტექტურის საკითხებში
ნატალია ზუბალოვა
დაიბადა 1962წელს

განათლება – არქიტექტორი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1984წ).

სამუშაო გამოცდილება: „Тбил знп“ – შპს „ინჟინერი“, არქიტექტორი. 2014 წლიდან დღემდე სპეციალისტი არქიტექტურის საკითხებში.

განყოფილების სპეციალისტი
ფეფე ესაიაშვილი
დაიბადა 1989 წელს;

განათლება: თბილისის ილია ვეკუას სახელობის 42-ე ფიზიკა-მათემატიკური სკოლა – ეკონომიკური განყოფილება; თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი – ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი – სპეციალობა – მენეჯმენტი და ადმინისტრირება.

სამუშაო გამოცდილება – 2016 წლიდან დღემდე ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების სპეციალისტია.

დასასრული

ვასო უნაფძოშვილი, ევგენი ბურდული, ხაშმელი იოსებ ციქურიშვილი და სხვები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია იაკობ ფანოზიშვილის როლი, რომელიც არა მარტო კოორდინატორი იყო საბრძოლო ურთიერთობის ხაზით, არამედ სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი დამოუკიდებლობისათვის იმ დიდი ბრძოლისა, რასაც ადგილი ჰქონდა მთელს გარეკახეთში.

ვიდრე უშუალოდ იაკობ ფანოზიშვილი ჩაუდგებოდა სათავეში გარეკახელ პატრიოტთა შეიარაღებულ რაზმებს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერ, ჯერ კიდევ 1921 წლის ზაფხულში, გარეკახეთში შეიარაღებული აჯანყების კოორდინატორად დანიშნული იყო სოფელ გიორგიწმინდის მკვიდრი პოლკოვნიკი ელიზბარ გულისაშვილი. იაკობ ფანოზიშვილი მისი მოადგილე, მაგრამ ფაქტობრივი ხელმძღვანელი იყო.

1923 წელს, სხვა სამხედრო ორგანიზატორებთან ერთად დასმენით დაიჭირეს და დახვრიტეს ელიზბარ გულისაშვილი. როდესაც ის დასახვრეტად მიჰყავდათ, ბადრაგმა გესლიანად ჰკითხა: ხომ იცით, სად და რისთვის მიგვყავხარო?! გულისაშვილმა უპასუხა, ვიცი, მივდივარ იმისათვის, რომ საქართველოსათვის მოკვდეო“.

ელიზბარ გულისაშვილმა ჩაიდინა გაუგონარი გამბედაობა. იგი შეეცადა ბადრაგისთვის იარაღი წაერთმია, მაგრამ მეორე ბადრაგმა იქვე ავტომობილის ძარაში მიბჯრით დახვრიტა პოლკოვნიკი, პირველი მსოფლიო ომის გმირი.

პატარძეულელ შეფიცულებს ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეუთანხმებლად თბილისიდან ხელმძღვანელობას უწევდნენ სოციალ-დემოკრატები მენშევიკი ვალერი ბილანიშვილის თავკაცობით. მისი ალალი ბიძაშვილი არჩილ ბილანიშვილი კი კომ-

წარსულის ფურცლებიდან

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლნი

ქაქუცას შეფიცულები საგარეჯოდან

კავშირელი და ჩეკას აგენტი იყო, რომელიც სისტემატურად აწვდიდა ცნობებს ჩეკას იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებოდნენ პატარძეულელი შეფიცულები აჯანყებისათვის.

24 აგვისტოს პატარძეულში შევიდა მილიციისა და ჩეკას გაძლიერებული რაზმები, რამაც შეფიცულები აიძულა ტყეებში გახიზნულიყვნენ. პატარძეულის შეიარაღებული ასეული და სხვა საგარეჯოელი შეფიცულები ტყეში კაწარეთის მონასტრის მიდამოებში გამაგრდნენ. აქ მოხდა შეიარაღებული შეტაკება 1924 წლის 24 აგვისტოს. გამარჯვება სახელისუფლებო ძალებს დარჩათ. იყო მსხვერპლიც – ქაქუცას შეფიცულებიდან ერთი გომბორელი მებრძოლი დაიღუპა.

1924 წლის აჯანყება მთელს საქართველოში დამარცხდა, რის შემდეგაც დაიწყო თავაწყვეტილი შურისძიება. რეპრესიებმა ათეულ ათასობით პატრიოტი იმსხვერპლა. უდიდესი მსხვერპლი გაიღო საგარეჯომაც. აჯანყების ბევრმა მონაწილემ ტყეს შეაფარა თავი, მაგრამ დიდი ნაწილი „ჩეკას“ მსხვერპლი გახდა. ციხეები ვეღარ იტევდა დაპატიმრებულ ადამიანებს, ამიტომ საპატიმროების განსატვირთავად გაუსამართლებლად ხვრეტდნენ მათ. მაგალითად, ჩეკას სართიჭალის განყოფილებამ აქვე სოფლის ბოლოს, „ბალბიანის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, „ძეძვიან ხევის“ მახლობლად დახვრიტა და თვითონ პატიმრების ხელით გათხრილ მიწაში ჩაყარა ასეულობით პატრიოტი. ზოგიერთი მათგანი, მიწას რომ აყრიდნენ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

აჯანყების დამარცხების შემდეგ იაკობ ფანოზიშვილმა ტყეს შეაფარა თავი. მასთან ერთად ტყეში გავიდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის ერთგული შეფიცული იოსებ ციქურიშვილი. ჩეკამ საგანგებო ძებნა გამოაცხადა მათთვის მეტად საშიში ამ ორი პიროვნების მიმართ (მაშინ საგარეჯოს ჩეკას ვინმე არჩილ მუქათარიძე ხელმძღვანელობდა). როცა ვერასგზით მოიხელთეს ისინი, გადაწყვიტეს მკვლელი მიეგზავნათ. ასეთიც მალე მოძებნეს – საგარეჯოს მკვიდრი ანტონ ქ-შვილი, რომელიც ვითომ კომუნისტური რეჟიმის მიერ დევნილი ტყეში გავიდა და ქაქუცას შეფიცულებს მიეკედლა. ანტონ ქ-შვილმა გადაწყვიტა ძილის დროს დაეხალა ტყვია იაკობ ფანოზიშვილისათვის, მაგრამ ბედნიერმა შემთხვევამ თოფს „ასეჩკა“ მისცა და ტყვია არ გავარდა. იაკობს გაეღვიძა, მაგრამ არ მოკლა მიგზავნილი მკვლელი, გააპანღურა და ტყიდან გამოაგდო. ამის შემდეგ იაკობ ფანოზიშვილი თვითონ ჩაბარდა ჩეკას. იგი გაასამართლეს და ყაზახეთში გადაასახლეს, იქ დაოჯახდა და ქალიშვილიც ეყოლა. ბოლოს, 1937 წელს იაკობ ფანოზიშვილი მაინც დახვრიტეს. იოსებ ციქურიშვილი 1925 წლამდე ტყეს აფარებდა თავს, მასთან ერთად იყო ანტონ ქ-შვილი, როგორც მისი „ერთგული მებრძოლი“. ერთხელ მან შეაცდინა იოსები და დაიყოლია საგარეჯოელი მდიდარი ვაჭრის შაქარა პაპანოვის (ბეგლარიშვილი) სახლის გაძარცვაზე. როცა ისინი ბეგლარიშვილის სახლს მიუახლოვდნენ, ქ-შვილ-

მა ზურგიდან ესროლა ტყვია და მოკლა იოსებ ციქურიშვილი.

გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ ამ მკვლელობას ვრცელი პუბლიკაცია მიუძღვნა. ასე დასრულდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის საგარეჯოელ შეფიცულთა ტრაგედიით აღსავსე ცხოვრება.

ალექსანდრე ელერდაშვილი

მართლმადიდებლობა

საქართველოს მფარველი სამი ხატი

აწყურის ხატი თავისი მნიშვნელობით და სიწმინდით ანჩისხატს არაფრით ჩამოუვარდება. ორივე ხელთუქმნელი ხატია. ორივე იესო ქრისტეს უშუალო ნებით არის შექმნილი, მაგრამ თუ ანჩისხატი მაცხოვარმა ედესაში გააგზავნა, აწყურის ხატი საქართველოს მფარველად აკურთხა. მისივე დავალებით, ანდრია პირველწოდებულმა ხატი საქართველოში ჩამოაბრძანა და მას შემდეგ იგი ჩვენს ქვეყანას მფარველობს.

ყოვლადწმინდა ქალწულის პირველი გამოსახულებაა, რომელიც შემობრძანდა და დაემკვიდრა საქართველოში.

ღვთისმშობელ მარიამს ქრისტეს საქადაგებლად წილად ევერია ხვდა, მაგრამ ახლოვდებოდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ჟამი და მას უფალი იესო ქრისტე გამოეცხადა: ***"დედაო ჩემო, არა უგულებელსყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის . . . წარავლინე პირველწოდებული ანდრია შენს წილხვედრ ქვეყანაში და თან გაატანე შენი ხატი . . . შენ წილის ხატი მკვიდრობდეს მცველად მათდა უკანასკნელ ჟამამდე. "***

ამ გამოცხადების შემდეგ მარიამ ღვთისმშობელმა ანდრია პირველწოდებულს დაავალა ევერიაში ქრისტეს ქადაგება. ღვთისმშობელმა მოითხოვა ფიცარი, მიიდო სახეზე და სასწაულებრივად ფიცარზე მისი ხელთუქმნელი ხატი გამოისახა. ***"შვილო ანდრია, . . . წაასვენე სახე ჩემი და სახე ძისა ჩემისა, რათა ვიყო გამგებელი მათი ცხოვრებისა, ხელი აღვუპყრა და შეევწიო და არავინ მტერთაგანმა სძლიოს მათ".*** ანდრია მოციქული ღვთისმშობლისგან კურთხევის აღების შემდეგ ხელთუქმნელი ხატით საქართველოში ჩამობრძანდა.

აწყურის ხელთუქმნელი ხატი თვით ქრისტემ აკურთხა საქართველოს მფარველად. საქართველოს გაბრწყინება შევთხოვოთ აწყურის ღვთისმშობლის ხელთუქმნელ ხატს.

მაცხოვრის სიტყვებით, ეს ხატია ჩვენი მცველი უკანასკნელ ჟამამდე – მცველი ევერიისა.

ანჩისხატი - უფლის მიერ შექმნილი ხელთუქმენლი ხატი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სადიდებლად, რომელსაც იმის გამო, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე ანჩის ტაძარში ესვენა, ანჩისხატი ეწოდა, ქართველებს მრავალი საგალობელი შეუქმნიათ. ეს საგალობლები გვიდასტურებენ ჩვენი წინაპრების განსაკუთრებულ მოკრძალებას წინაშე ამ სასწაულმოქმედი ხატისა.

ათონის ივერიის ღვთისმშობლის ხატი – "კარის მცველი" ,"კარიბჭის ღვთისმშობლის ხატი", ღვთისმშობლის უძველესი მართლმადიდებლური ხატი ბრძანდება საბერძნეთში, ათონის მთაზე არსებულ ივერიის მონასტერში. კლესიის გადმოცემის თანახმად, ხატი დაწერილია წმ. ლუკა მახარებლის მიერ. ივერიის ღვთისმშობლის ხატი მიეკუთვნება ოდიგიტრიას გზის მაჩვენებელთა ოჯახს.

საქართველოს სულიერი გაბრწყინების დამაგვირგვინებელი იქნება ივერიისად წოდებული ღვთისმშობლის ხატის ათონის მთიდან ივერიაში წამობრძანება. საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივით სრულიად საქართველოს დახმარებით საქართველოში, თბილისში მახათას მთაზე, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ივერიის ხატის სავანე შენდება.

მაცხოვრის ამაღლება

აღდგომიდან მე-40 დღეს, მეექვსე კვირის ხუთშაბათს (ამჟამად 25 მაისს), მართლმადიდებელი ეკლესია მაცხოვრის ამაღლებას ზეიმობს. როგორც წმიდა სახარება გვაუწყებს, ბრწყინვალე აღდგომიდან 40 დღის განმავლობაში ქრისტე თავის მოწაფეებს ეცხადებოდა და ღვთის სასუფევლის შესახებ მოუთხრობდა. იოანე ოქროპირის სიტყვით, იგი მოწაფეებს ასწავლიდა „სასუფევლის საიდუმლოებებს", რომელნიც მაცხოვრის აღდგომამდე მათთვის გაუგებარი და მიუწვდომელი იყო.

აღდგომიდან მე-40 დღეს კი გალილეიდან იერუსალიმში დაბრუნებული მოწაფეები ერთ სახლში შეიკრიბნენ. აქ მათ მაცხოვარი გამოეცხადათ, რომელმაც შეკრებილთ აღუთქვა, რომ მალე მოუვლენდა სულიწმიდას და უბრძანა, არ გაშორებოდნენ იერუსალიმს.

საუბრობდა რა მოწაფეებთან, ქრისტემ გამოიყვანა ისინი ბეთანიის მიმართულებით, ელეონის მთაზე, შემდეგ ხელები ცისკენ აღაპყრო და აკურთხა. შეკრებილნი. კურთხევისას თანდათან დასცილდა მათ და ზეცად ამაღლება იწყო, მცირე ხანში კი ღრუბლებში გაუჩინარდა.

ვიდრე მოწაფეები ცას შეჰყურებდნენ, ეჩვენა მათ ორი კაცი, თეთრად მოსილნი რომელთაც უთხრეს: „კაცნო, გალილეველნო, რაისა სდგათ და ჰხედავთ ზეცად. ესე იესო რომელი ამაღლდა თქვენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად" (საქ. მოც. 1, 11), მოწაფეები სიხარულით დაბრუნდნენ იერუსალიმში, სულიწმიდის მომლოდინენი, განუწყვეტლივ ლოცვაში იყვნენ, ადიდებდნენ და მადლობდნენ ღმერთს.

მაცხოვრის ამაღლების მნიშვნელობა რამდენიმე კუთხით შეიძლება განვიხილოთ.

პირველი - მოვლენის ონტოლოგიური მხარეა: ძე ღვთისამ მიიღო ადამიანური ბუნება, რომელიც ზეცად აამაღლა და საღმრთო დიდებას აზიარა. იოანე ოქროპირის თქმით, უფლის ამაღლებამ ადამიანი ანგელოზს მიამსგავსა, ადამიანი შეერთო უხორცოთა დასს, იგი მიწისთვისაც კი უღირსი - ზეცაში დამკვიდრდა. კაცთა ბუნება, რომლისაგანაც ქერუბიმები სამოთხეს იცავნდნენ, თვით ქერუბიმებზე აღმატებული გახდა. იესო ქრისტეს ზეცად ამაღლებით მოხდა ცისა და მიწის შეერთება, ზეციურისა და მიწიერის შერიგება. ამაღლებით რეალურად განცხადდა ძველი აღთქმისეული წინასწარმეტყველება: „ამაღლდა ღმერთი დაადებითა და უფალი ხმითა საყვირისაითა" (ფს. 46, 5); ამაღლების შემდგომ, პავლე მოციქულის თქმით, „ჩუენი მოქალაქეობაი ცათა შინა არს" (ფილ. 3, 20).

უფლის ამაღლებას აქვს ესქატოლოგიური მნიშვნელობაც, რადგან სწორედ ამაღლება იყო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების დასასრული, ხოლო მისი მეორედ მოსვლა კაცობრიობის მიწიერი მყოფობის დასასრული იქნება. ამაღლებას ზნეობრივი მნიშვნელობაც გააჩნია. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ არა მხოლოდ მიწას, არამედ ზეცასაც ვეკუთვნით, რომ ჩვენ ვეკუთვნით დროსაც და მარადისობასაც, მატერიასაც და სულსაც და მიწიერი ცხოვრების დროს ჩვენ უნდა ავმაღლდეთ ყოველივე მიწიერზე და მდაბალზე.

სარწმუნოების სიმბოლოში (მრწამსში) ვკითხულობთ: „და ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით ღვთისა და მამისა". რას ნიშნავს ეს სიტყვები? ღმერთი ხომ დროისა და სივრცის მიღმიერია? როგორ უნდა გავიგოთ ეს ანთროპომორფისტული მეტაფორა? როდესაც იმპერატორი თანამმართველს ირჩევდა, ან მისი ვაჟი სრულწლოვანი ხდებოდა - მაშინ განსაკუთრებული რიტუალი - ინტრონიზაცია ტარდებოდა. სასახლის დარბაზში ორ ტახტს დგამდნენ. ერთზე ჯდებოდა იმპერატორი, მეორეზე, მარჯვენა მხარეს თანამმართველი. მარჯვნივ ჯდომა იმპერატორის მსგავს ღირსებასა და ძალაუფლებას ნიშნავდა. ამდენად, აღნიშნული სიტყვები მამა ღმერთისა და ძე ღმერთის თანაბარ ძალაუფლებაზე მიუთითებს. ეს სახე-სიმბოლო კიდევ უფრო წარმოაჩენს ამაღლების აქსიოლოგიურ მნიშვნელობას: ღმერთკაცის სახით მთელ კაცობრიობას დაუსრულებელი სულიერი აღმასვლის შესაძლებლობა მიეცა.

ქრისტე გაშლილი, მაკურთხეველი ხელებით ამაღლდა ზეცად. ელეონის მთასთან მდგარი მოწაფეები პირველ ქრისტიანულ ეკლესიას წარმოადგენდნენ. სიყვარულითა და იმედით აღსავსე ეს ეპიზოდი არის ნიშანი და აღთქმა იმისა, რომ კურთხევა ღვთისა მუდამ ჰგიებს ეკლესიაში.

ზურაბ ეკალაძე

გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი" 21 (72), 2000 წ

22 მაისი – ნიკოლოზობა

ძართული მართლმადიდებლური ეკლესია 22 მაისს და 19 დეკემბერს ნიკოლოზობის დღესასწაულს - წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის დღეს აღნიშნავს.

წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი საქართველოში ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთ მფარველად ითვლება. მარტო თბილისში წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის სახელობის ხუთი ეკლესიაა.

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის დღეს წელიწადში ორჯერ აღნიშნავს. 19 დეკემბერს წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის ხსენების დღეა, ხოლო 22 მაისს - როცა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის წმინდა ნაწილები მირონიდან ბარში გადაასვენეს.

წმინდა ნიკოლოზი დიდი სიყვარულით სარგებლობს ხალხში, მას სასოებით უხმობს ყველა გასაჭირისას და იგიც მსწრაფლ შეეწევა ხოლმე მათ. ყველაზე მეტად წმინდანს მეზღვაურები სცემენ თაყვანს.

წმიდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედი მცირე აზიაში, ლუკიის მხარის ქალაქ პათარაში ქრისტეს შობიდან 257 წელს დაიბადა. მის მშობლებს თეოფანეს და ნონას დიდხანს არ ჰყავდათ შვილი. ისინი ძალიან მდიდრები იყვნენ და თავიანთი ქონებიდან გაჭირვებულთათვის უამრავ მოწყალებას გასცემდნენ. ამის გამო ადამიანთა სიყვარულითა და პატივისცემით იყვნენ გარემოსილნი. ამ სათნოებისათვის და ღვთისმოშიში ცხოვრებისათვის, აგრეთვე გულმხურვალე ლოცვისათვის ღმერთმა მათ ვაჟი უბოძა, მომავალი მღვდელმთავარი და სასწაულთმოქმედი. სასწაულთმოქმედების უნარი წმინდა ნიკოლოზმა შობიდანვე გამოამჟღავნა.

სიყრმიდანვე უყვარდა სახარების კითხვა, ტაძარში სიარული და დიდ დროს უომობდა გულმოდგინე ლოცვებს. მშობლებიც უწყობდნენ ხელს ბიჭს ასეთი ხასიათის ჩამოყალიბებაში. ისინი არა მარტო სახლში, გზაშიც კი არ წყვეტდნენ ნიკოლოზის ქრისტიანულ აღზრდას და მათი სწავლება ისე მტკიცედ გაუჯდა ბავშვს, რომ ბავშვობიდანვე შეიყვარა გლახაკები. არასდროს ისე არ ჩაუვლიდა, სანუგეშო სიტყვა რომ არ ეთქვა და მოწყალება არ მიეცა მათთვის. ამის შემხედვარე ბიძამ, პათარას ეპისკოპოსმა, დაარწმუნა მშობლები, მიეცათ შვილი ღვთის სამსახურში და მათი ნებართვით აიყვანა იგი მღვდლის ხარისხში.

წმინდა ნიკოლოზს არასდროს შეუწყვეტია ტანჯულთა შემწეობა, დამცირებულთა და უსუსურთა განმტკიცება, სათნო საქმეების კეთება. მღვდელთმთავრობისას კი უფრო მკაცრ მოსაგრეობას ეწეოდა, იყო განუწყვეტლივ მღვიძარებაში, მკაცრ მარხვასა და ლოცვაში, სულ უფრო მაღლა და მაღლა იწევდა სრულყოფილების საფეხურებზე, სულ უფრო უახლოვდებოდა უსხეულო მდგომარეობას.

როცა მისი მშობლები გარდაიცვალნენ და მას მდიდარი მემკვიდრეობა დაუტოვეს, წმინდა ნიკოლოზმა მთელი ეს ქონება ღარიბ-ღატაკ ადამიანებს შესწია. ყოველივე ამას აკეთებდა უჩუმრად, სხვებისაგან დამალულად.

შემდეგ იგი პალესტინაში გაემგზავრა წმინდა ადგილების თაყვანისსაცემად. პალესტინაში წმიდა ნიკოლოზმა მოიარა ყველა წმინდა ადგილი, თაყვანი სცა უფლის საფლავს, გულმხურვალედ ილოცა გოლგოთაზე, უფლის ჯვარცმის ადგილზე. არსებობს გადმოცემა, რომ იერუსალიმის ტაძრის კარები ნიკოლოზის მიახლოებისას თავისთავად გაიღო და იგი დაუბრკოლებლივ შევიდა მასში.

სამშობლოში დაბრუნებული ნიკოლოზი ქალაქ მირონში წავიდა. იქ იგი ეპისკოპოსად აირჩიეს. აძლიერებდა წმიდა ნიკოლოზი თავის სამწყსოს. იგი მფარველი ანგელოზივით ეცხდებოდა ყველა დევნილს, თავისი სათნო სიტყვითა და ნუგეშით ამხნევებდა ყველას. ამისთვის იგი შეიპყრეს და სხვებთან ერთად ციხეში ჩააგდეს. იგი მხნედ იტანდა შიმშილს, წყურვილს, ტანჯვას. საპყრობილეშიც ქადაგებდა ღვთის სიტყვას, გასცემდა მოწყალებას. ანუგეშებდა იქ მყოფთ თავისი საუბრებით, საპყრობილეც საქადაგებელ ადგილად აქცია. 8 წელი გრძელდებოდა ასე.

გავიდა დრო და მდგომარეობა გამოკეთდა. კონსტანტინე დიდმა, რომელიც დიოკლიტიანეს შემდეგ გახდა იმპერატორი, ქრისტიანთა მფარველობა იწყო და თვითონაც ქრისტიანი გახდა.

მრავალი სასწაული მოახდინა წმინდა ნიკოლოზმა. კარგა ხანს იცხოვრა მღვდელმთავარმა თავის სამწყსოსთან ერთად. დაუღალავად ქადაგებდა ღვთის სიტყვას, თავადაც მაგალითი იყო ქრისტიანული ცხოვრებისა და მოღვაწეობისა. ჩაგრულნი მასში პოულობდნენ მსწრაფლშემწეს და მცველს, უბედურნი - მწყალობელს და ნუგეშინისმცემელს; მასთან მოსაუბრენი რწმენაში მტკიცდებოდნენ, წარმართნი სამუდამოდ უარყოფდნენ წარმართობას და ქრისტეს რწმენის მიმდევრები და აღმსარებლები ხდებოდნენ.

წმიდა ნიკოლოზი 342 წლის 6 დეკემბერს ღრმად მოხუცებული (85 წლისა) გარდაიცვალა. მისი სხეული საზეიმოდ დაკრძალეს ქალაქის საკათედრო ტაძარში. მისი უხრწნელი ნაწილები მაშინვე გამოსცემდნენ კეთილსურნელებას და მირონს. მისი შეხებით სნეულნი იკურნებოდნენ. მრავალი საოცრებანი ხდებოდა მის კუბოსთან. ამის შესახებ ამბები სწრაფად გავრცელდა მთელს ქვეყანაში და მლოცველთა ტალღამ ტაძრისაკენ იწყო დენა.

წმიდა სასწაულთმოქმედი სიკვდილის შემდეგაც არ სტოვებს თავის სამწყსოს, დღესაც მფარველობს მწუხარეთ და ტანჯულთ, განსაცდელში მყოფთ, მძიმე სნეულთათვისაც კვლავ წარმოადგენს კურნების უშრეტ წყაროს. სიკვდილის შემდეგ მამა ღმერთმა მეტი სასწაულთმოქმედების ნიჭი უბოძა. მისი ამქვეყნიური ცხოვრება მხოლოდ დასაწყისი იყო იმ მრავალრიცხოვანი საოცრებებისა, იმ სიკეთისა და სათნოებებისა, რომელთა კეთებასაც იგი დღესაც განაგრძობს

ძიუ-დო

„საგარეჯო-2“-ის წარმატება უნგრეთში და კლუბის ახალი პერსპექტივები

აპრილის ბოლო დღეებში უნგრეთში ჩატარდა რიგით ოცდამეათე ევროპის თასის გათამაშება ჭიდაობა ძიუდოში, რომელშიც ევროპის 24 ქვეყნისა და ამერიკისა და კანადის სხვადასხვა საკლუბო გუნდების ძიუდოისტები იღებდნენ მონაწილეობას. ამ საკმაოდ მაღალი დონის ასპარეზობაში, უნგრეთის ძიუდოს ფედერაციის მიწვევით მონაწილეობას იღებდა ჩვენი მუნიციპალიტეტის ძიუდოს კლუბ „საგარეჯო-2“-ის ხუთი მოჭიდავე: **დავით კევლიშვილი, ლაშა მამულაშვილი, ნიკა თათრიშვილი, გიგი ხოსიტაშვილი და მახარე გულბანი** (მწვრთნელი: ბადრი ბასილაშვილი). გარდა გზის ხარჯებისა, დამმობილებულმა უნგრელმა მასპინძლებმა (უნგრეთის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი ლასოვი) საგარეჯოელ ძიუდოისტებს მთლიანად დაუფინანსეს დანარჩენი ხარჯები – საკლუბო საწევრო შესატანი, სასტუმროს, კვების და სხვა.

რაც შეეხება იმ წარმატებებს, რასაც ამ დონის ასპარეზობაზე პირველად გასულმა და ახლადფეხადგმული კლუბის ჩვენმა ძიუდოისტებმა მიაღწიეს, ნამდვილად აღსანიშნავი და მისასალმებელია, რამაც იქ მონაწილე კლუბების მესვეურთა მხრიდან დიდი დაინტერესება გამოიწვია. კერძოდ, ტურნირზე შესაშური აქტივობით იასპარეზა და გამართული 6 შეხვედრიდან ექვსივე წმინდა გამარჯვებით დაასრულა 32 კგ წონით კატეგორიაში მოსპარეზე **დავით კევლიშვილმა.**

თანაკლუბელს წარმატებისაკენ სწრაფვაში არ ჩამორჩა მძიმე წონაში მოასპარეზე ლაშა მამულაშვილი, რომელმაც ფინალური ორთაბრძოლა უკრაინელ მეტოქესთან მხოლოდ ხელის ტრამვის გამო დათმო.

ტურნირზე ასევე არ გაუმართლა მესამე გარეჯელ ძიუდოისტს ნიკა თათრიშვილს, რომელსაც ორი შეხვედრის მოგების შემდეგ წარბის გახეთქვისა და ძლიერი სისხლდენის შეუჩერებლობის გამო მედიკოსებმა ტატამზე გასვლა აუკრძალეს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთ ასპარეზზე გასვლა მათთვის პირველი იყო, დამწყები ფალავნების კვალობაზე, კარგად იასპარეზეს **გიგი ხოსიტაშვილმა და მახარე გულბანმაც.**

ევროპის თასის გათამაშების შემდეგ უნგრეთის ძიუდოს ფედერაციამ ოთხდღიანი ერთობლივი მეგობრული ვარჯიშები მოუწყო საგარეჯოელ სტუმრებს, სადაც ჩვენებურმა მოჭიდავეებმა დიდი მოწონება და აღიარება დაიმსახურეს, არა მარტო უნგრელებისგან, არამედ სხვა ქვეყნებისაგან. კერძოდ „საგარეჯო-2“-ის ძიუდოისტებთან ერთობლივი წვრთნა-ვარჯიშების ჩასატარებლად სურვილი გამოთქვეს უკრაინის, დანიის, შვეიცის, პოლონეთის და კანადის წარმომადგენლებმა. როგორც ჩვენთან საუბარში ***აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექტორმა*** **გია მაისურაძემ** აღნიშნა, ტურნირში უკრაინის ძიუდოს 5 საკლუბო გუნდი მონაწილეობდა და ხუთივემ გამოთქვა „საგარეჯო-2“-თან ერთობლივი ვარჯიშის გამართვაზე, რაც, რა თქმა უნდა, ძალზედ დადებითად იმოქმედებს ჩვენი კლუბის ძიუდოისტების შემდგომ წარმატებებზე.

თავის მხრივ „საგარეჯოს სპორტგაერთიანება“ 21-22 სექტემბრისათვის გეგმავს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ გიორგი რევაზიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირის ჩატარებას, სადაც გადაწყვეტილი აქვთ საპასუხო ვიზიტით მოიწვიონ მათთან დამეგობრებული უნგრელები, ისე, რომ უნგრეთში ვიზიტმა ბევრი კარგი რამ შესძინა „საგარეჯო-2“-ს და იმედია, ეს „შენაძენი“ სულ მალე ჰპოვებს ასახვას მათ შემდგომ საქმიანობაში.

ძიუ-დო

გივი ონაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი საგარეჯოში

ორ დღეს, 6-7 მაისს, საგარეჯოს სპორტული დარბაზის ტატამზე ტარდებოდა ჭიდაობა ძიუდოში მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, ევროპის მრავალგზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, ღირსების ორდენის კავალერის **გივი ონაშვილის** სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში ჭაბუკ ვაჟებსა და გოგონებში. ტურნირში მასპინძელ საგარეჯოელ ძიუდოისტებთან ერთად მონაწილეობდნენ თბილისის, გორის, რუსთავის, ახმეტის, გარდაბნის, ბოლნისის, მცხეთის, ბათუმის, დედოფლისწყაროს, მარტყოფისა და სხვა რეგიონების მოჭიდავეები. როგორც წინა, სხვა ასპარეზობებში, ჩვენი სახელოვანი მოჭიდავის ტურნირს მეტი მომხიბვლელობა შესძინეს და ბრწყინვალედ იჭიდავეს აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ მწვრთნელ ლუდა ფერაძის აღსაზრდელმა ძიუდოისტმა გოგონებმა, რომელთაც შვიდი გამარჯვება, სამი მეორე და სამიც მესამე ადგილი ჩაიწერეს თავიანთ აქტივში. აქედან, ორ წონაში (36 და 52კგ-ში) ერთმანეთს დაუპირისპირდნენ **ლალი ხოსიტაშვილი და თამთა სუხაშვილი**, სადაც გამარჯვებული ლალი ხოსიტაშვილი გამოვიდა, თამთა კი II ადგილს დასჯერდა. მეორე – 52 კგ წონით კატეგორიაში გარეჯულ ფინალში გამარჯვებული **მარიამ ლაფაჩიშვილი** გახდა, რომელსაც თავისზე ხუთი კილოგრამით მეტ წონაში მოუხდა ჭიდაობა, მაგრამ, ამას ხელი არ შეუშლია ოქროს სინჯის მედლის მოპოვებასა და თანაგუნდელი ვარდო ბუჩაშვილის დამარცხებაში.

32 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი **მარიამ ხოსიტაშვილი** გახდა, ხოლო ქეთი ქისტაურმა მესამე ადგილი დაიკავა.

40 კგ წონით კატეგორიაში ბრწყინვალედ იასპარეზა **სალომე არაბულმა.** მას ტოლი არ დაუდეს ტატამზე გასულმა მისმა თანაგუნდელებმა **ნინო ლოლაძემ** (44კგ), ანა ასანიშვილმა (48კგ), **მარიამ კოხტაშვილმა** (57კგ), რომლებმაც შეძლეს ყველა მეტოქის დაჯაბნა და ტურნირის ჩემპიონის წოდების მოპოვება.

ტურნირზე რიგით მესამე ვიცე-ჩემპიონი 63 კგ წონით კატეგორიაში გახდა **ნინო გულბანი,** ხოლო **მარიამ ძისტაური და თამარ დარბაისელი** მესამე პრიზიორები გახდნენ შესაბამისად 57 და 63 კგ წონით კატეგორიებში. რაც შეეხება ვაჟებში მოასპარეზე საგარეჯოელ ძიუდოისტებს, შეჯიბრების პირველ დღეს ტურნირის ჩემპიონი გახდა დამწყებ – 27 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **შოთა ბაჩოშვილი,** ხოლო **ლადო მაჩურიძე** მესამე ადგილზე გავიდა ამავე წონაში.

30 კგ წონით კატეგორიაში მესამე პრიზიორები გახდნენ **ონისე ბორაშვილი** (საგარეჯო) და **გიორგი ბორაშვილი** (კაკაბეთი).

ასეთივე შედეგით დატოვეს ტატამი 34 კგ კგ წონით კატეგორიაში **ლევან ჩახვაშვილმა** (გიორგიწმინდა) და **თენგო მაისაშვილმა** (საგარეჯო).

ტურნირის მეორე დღეს საგარეჯოელთაგან კიდევ სამი მეორე პრიზიორი გამოვლინდა. კერძოდ, ***ვიცე ჩემპიონები*** გახდნენ **თენგო ზირაქაშვილი** (42 კგ), **დათო შათირიშვილი** (66კგ) და **სანდრო სონიშვილი** (+73კგ). ტურნირზე საუკეთესო ტექნიკურ მოჭიდავედ მიჩნეულ იქნა 27 კგ წონით კატეგორიაში მოსპარეზე **შოთა ბაჩოშვილი.**

ტურნირის დასასრულ საპრიზო ადგილებზე გასული საგარეჯოელი და სხვა ძიუდოისტები დაჯილდოვდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ შესაბამისი მედლებითა და სიგელებით.

თავისუფალი ჭიდაობა

თბილისის ღია პირველობაზე

6-7 მაისს თბილისში ჩატარდა ქალაქის ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, რომელშიც თავიანთი ოსტატობას აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ამ სტილის მოჭიდავეებიც (მწვრთნელები რ. ასაბაშვილი და დ. ბაბუნაძე) სცდიდნენ. მათგან იმარჯვა და ღია პირველობის ჩემპიონი 38 კგ წონით კატეგორიაში გახდა მიშიკო ჯავახიშვილი. 54 კგ წონით კატეგტორიაში პირველობის ვიცე-ჩემპიონი გახდა **თენგიზ ძვლიგიძე,** ხოლო **შალვა გულისაშვილი** და **აკაკი რომაშვილი** ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ შესაბამის წონებში.

4-14 მაისს ბათუმმა უმასპინძლა საქართველოს ჩემპიონატს ჭადრაკში 8-10-12-14-16-18 წლიან ჭაბუკებსა და გოგონებს შორის, რომელშიც საქართველოს ამ წლიანი 90-მდე მოჭადრაკე იღებდა მონაწილეობას. აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანებიდან“ ამ ასპარეზობაში ორი ნორჩი მოჭადრაკე – მწვრთნელ ირაკლი ქვლივიძის აღსაზრდელი **ზუკა გამრეკელაშვილი** და ელენე ფარეშიშვილის აღსაზრდელი **ლევან დალბაშვილიც** იბრძოდნენ საჭადრაკო დაფებზე პირველობის მოსაპოვებლად. საამისოდ მათ 9-9-ჯერ მოუხდათ „დუელის“ გამართვა მეტოქეებთან. საბოლოოდ კი ამ „ბრძოლებიდან“ გამარჯვებული **ლევან დალბაშვილი** გამოვიდა, რომელმაც 4 გამარჯვებითა და 5 ყაიმით შეძლო ***საქართველოს ჩემპიონის*** წოდების მოპოვება.



– ლევან დალბაშვილი ჩემპიონატის პირველივე პარტიებიდან ლიდერთა შორის იყო, – გვეუბნება ტურნირზე აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ წარმომადგენელი, მწვრთნელი **ირაკლი ქვლივიძე,** – ბოლო მე-9 ტურის წინ 5,5 ქულით იგი III ადგილზე იმყოფებოდა და ნახევარი ქულით უსწრებდნენ ფოთელი მოჭადრაკეები აკაკი ყალიჩავა და თეიმურაზ კვიკვინია. საბედნიეროდ ბოლო ტურში ჩვენმა მოჭადრაკემ პირველ დაფაზე დაძაბულ პაექრობაში შეძლო პირველობის ფავორიტის აკაკი ყალიჩავას დამარცხება, რის შედეგადაც ის და მისი მეტოქე თეიმურაზ კვიკვინია თანაბარ ქულებს 6,5-6,5 ქულებს ფლობდნენ, თუმცა კოეფიციენტის მიხედვით დალბაშვილს უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა და დამსახურებულად მიეკუთვნა 12 წლიანებში საქართველოს ჩემპიონის წოდება. ამ გამარჯვებით ლევანმა ასევე უფლება მოიპოვა იასპარეზოს ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც ამა წლის 3-4 სექტემბერს რუმინეთის ქალაქ მამაიაში გაიმართება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 2016 წელს ამავე ასაკში საქართველოს ჩემპიონი ჩვენი მოჭადრაკე ნიკოლოზ კევლიშვილი იყო. წელს იგი ლევანმა შეცვალა. ამასთანავე, შეგახსენებთ, რომ ლევანი არის საქართველოს 2013 წლის ჩემპიონი 8 წლიან მოჭადრაკე ვაუებში.

რაც შეეხება ჩემპიონატზე ზუკა გამრეკელაშვილის გამოსვლას, იგი ბოლო პარტიამდე ლიდერთა შორის იმყოფებოდა, მაგრამ გადამწყვეტ პარტიაში ივანე შაპოვალოვთან განცდილი მარცხის გამო ვეღარ მოხვდა საპრიზო სამეულში.

ბ. დაბახიშვილი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

გარეჯელი კლასიკოსების წარმატება რუსთავში

12-13 მაისს ქ. რუსთავში ჩატარდა საქართველოსა და ყოფილი სსრკ-ს დამსახურებული მწვრთნელის ომარ გუგეშაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2004-2006 და 2007-2008 წლიან ფალავანთა შორის. სხვა მოჭიდავეებს შორის ასპარეზობაში მონაწილეობდა აიპ „საგარეჯოს სპორტგართიანების“ კლასიკური სტილის ამ წლიანი ხუთი მოჭიდავე და მიუხედავად ვარჯიშების დაწყებიდან არცოუ ისე დიდი ხნისა, სამმა მათგანმა შეძლო საპრიზო სამეულში ადგილის დაკავება.

თავი ისახელა და სამი ორთაბრძოლის მოგების შემდეგ და ტურნირის ჩემპიონი გახდა 38 კგ წონით კატეგორიაში საგარეჯოს III საჯარო სკოლის მოსწავლე **ლუკა მარტიაშვილი**. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მან ფინალური შეხვედრა წმინდა მოგებით 20 წამში დაასრულა.

ტურნირში III საპრიზო ადგილები დაიკავეს და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს საგარეჯოს II საჯარო სკოლის მოსწავლეებმა **ზეზვა ბაიხოძემ** (29კგ) და **ნიკა სუხიაშვილმა** (47კგ) (მწვრთნელები **თამაზ ყიფშიანი და ვასილ მარტიაშვილი**).

„ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან?!“

ოლიმპიელობაზე მეოცნებე

ლუკა მარტიაშვილი საგარეჯოს III საჯარო სკოლის III კლასის მოსწავლეა. ორი თვეა, რაც აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ ბერძნულ-რომაულ სექციაში მწვრთნელების თამაზ ყიფიანისა და ვასილ მარტიაშვილის მეთვალყურეობით დაიწყო ვარჯიში. სერიოზული, დინჯი, რადაცნაირი კაცური სიდინჯით გისმენს, გესაუბრება და თითქოს საქვეყნო საფიქრალზე ჩაფიქრებულაო, ზოგჯერ მუხლებს დააჩერდება რადაცნაირი ჩაყურადებით. მამა-პაპა ხელოსნები ჰყოლია, კარგი ხელობის მქონენი, აი, ჭიდაობით კი არასოდეს უჭიდავიათ. ერთი – ვასიკოს იცნობს, მამის ბიძაშვილს – ისიც რომაულ-ბერძნული სტილით მოჭიდავეს, დღეს თავის მწვრთნელს.

რაზე ოცნებობს?! რა აქვს მიზნად დასახული?! დიდი სურვილი აქვს გახდეს ოლიმპიური ჩემპიონი – ეს ხმამაღალი განცხადება არც გაჰკვირვებიათ მის მწვრთნელებს: – ძალიან მიზანდასახული, შრომისმოყვარე ბავშვიაო, – ერთხმად დაუდასტურეს მწვრთნელებმა.

სპორტულ დარბაზში ახლად მისულს თანატოლებიც დახვდნენ და მასზე უფროსებიც. დიდი ინტერესით ადევნებს უფროსების ვარჯიშებს თვალყურს და განსაკუთრებით მოსწონს წუწაშვილისა და პაატაშვილის ჭიდაობა. ბევრი რამ გაიგო და შეისწავლა ბერძნულ-რომაული ჭიდაობის შესახებ მწვრთნელებიდან, გაეცნო ამ სტილით მოჭიდავეთა წარმატებებს.

წინ ბევრი ტურნირები და ბრძოლები ელოდება. ახლა 31 მაისსა და 1-2 ივნისს ჭიათურაში უწევს გამოსვლა, სადაც იქაური ცნობილი მოჭიდავის ლაიდი აბრამიშვილის სახელობის ტურნირში 250 მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას. 38 კგ წონთ კატეგორიაში მოჭიდავე, გამარჯვებებისათვის მებრძოლ ლუკა მარტიაშვილს გამარჯვებას ვუსურვებთ.

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ აიპ *„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ გოგონათა ძიუდოს სექციის მწვრთნელს, სპორტის ოსტატს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, ყოფილი სსრკ-ს ჩემპიონს, ყოფილი სსრკ-ს ნაკრების წევრს, ეროვნული კატეგორიის მსაჯს ძიუდოში, სერტიფიცირებულ მწვრთნელს, ბუდაპეშტის ძიგანო კაროს უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტს* **ლუდა ფერაძეს**. ვუსურვებთ სიკეთეს, სიხარულს, წარმატებებს და კვლავაც მისი აღსაზრდელი ძიუდოისტი გოგონების დიდი მიღწევებით გამარჯვების სიხარულს, ჩვენი ქვეყნის და საზღვარგარეთის სპორტულ არენებზე.



დაბადების დღეს ვულოცავთ *აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ ჭადრაკის სექციის მწვრთნელს, ნორჩი მოჭადრაკეების დაოსტატებაზე დიდ მოამაგესა და მათი არაერთი გამარჯვების თანაზიარს* **ელენე ფარეშიშვილს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს, ბედნიერებას და კვლავაც დაუღალავ შრომით საქმიანობას, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის მომავალს ჭადრაკის საიდუმლოებებს აცნობს და გზას დიდი ჭადრაკისაკენ უკაფავს.

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანება“

ახალი სახელები

გოგა ბითაძე – მსოფლიო კალათბურთის მომავალი ვარსკვლავი

„**საგარეჯო** კალათბურთით ცნობილი არ არის. რეალურად აღმოსავლეთ საქართველოს ეს ქალაქი თავისი 12 ათასი მცხოვრებით, სამშობლოა რამდენიმე მსოფლიო ტოპ მოჭიდავისა თავისუფალ ჭიდაობაში.

საგარეჯოს ჯერ კიდევ თავის სახლს უწოდებს 18 წლამდე გუნდ Mega bemax Belgrade-ს წარმატებული წევრი გოგა ბითაძე. 2 მეტრი და 11 სანტიმეტრი გახდა მთავარი მიზეზი იმ წარმატებისა, რომ მას ბელგრადში ჩატარებულ ე.წ. „ადიდასის“ მომავალი თაობის ტურნირის თამაშებში მიეღო მონაწილეობა და ამასთან, მოიპოვა უფლება ამავე ANGT-ის ფინალურ თამაშში მონაწილეობისა სტამბულში.

– „ჩვენ მართლაც ნიჭიერი გუნდი გვყავს და ყველაფერს გავაკეთებთ გამარჯვებისათვის. იმედი მაქვს ყველაფერი კვლავაც კარგად იქნება“ – თქვა გოგა ბითაძემ და მართლაც მთელი რიგი შედეგებით მივიდნენ ფინალამდე ბელგრადში, რაც ძალიან ბევრს ნიშნავდა გუნდისათვის.

კალათბურთი ბევრს ნიშნავს გოგა ბითაძის სამშობლოსათვის – 4 მილიონი მცხოვრებით საქართველოსათვის. ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა, ჰყოლია და ჰყავს რამდენიმე კალათბურთელი NBA-ში – ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ზაზა ფაჩულია და სხვები მსოფლიო კალათბურთის სხვადასხვა გუნდებში.

საგარეჯო, რომელიც საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან 60 კმ-ის მოშორებით მდებარეობს, არაა ცნობილი კალათბურთით, რაც ყველაზე მეტად აღსანიშნავია ის არის, რომ საგარეჯო ძალიან ლამაზი რაიონია. იქ ბევრი მთებია და ბევრი კარგი სპორტსმენი აღიზარდა. იქ თბილი და სტუმართმოყვარე ხალხია და კარგი და გემრიელი საჭმელები.

საგარეჯო ლევან თედიაშვილის სამშობლოა. ის ორგზის ოლიმპიური ოქროს მფლობელი და ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონია თავისუფალ ჭიდაობაში. ასევე, არსენ მეკოკიშვილი – ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში – საგარეჯოელია.

ბითაძე მსოფლიო კალათბურთის უბრალოდ ყურებით არ გაზრდილა. მას მართლა სიმაღლემ უბიძგა კალათბურთის შემდგომი თამაშისათვის, მაგრამ 6 წლიდან ის კალათბურთის დიდი მოყვარული იყო. „მე ძალიან აქტიური და მაღალი ვიყავი, ამიტომ ბურთის თამაშის ყურებას არ მოუხდენია მხოლოდ ჩემზე გავლენა, მაგრამ მერე შემიყვარდა იგი და ინტენსიურად ვუყურებდი კიდეც მას. განსაკუთრებით მომწონდა ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელი თორნიკე შენგელია, რომელიც კალათბურთის ცნობილ გუნდებში (Baskonioa victoria Gasteis da shaquille O,ned and pau Gasol NBA) მომწონს ამ ათლეტის ძალიან სწრაფი მოძრაობები.

ბითაძემ თამაში დაიწყო FIBA 16 წლამდე european championship Division-ში 2015 წელს, მანამდე იგი თამაშობდა Vita Tbilis-ში 2015-2016 წლების სეზონში. Mega-ში კი ის 2015 წლის დეკემბერში გადავიდა.

„საქართველოში კარგი ლიგა იყო და კარგი კლუბიც, მაგრამ მე ვნახე, რომ ეგა მართლაც კარგი გუნდი იყო ახალგაზრდა მოთამაშეებისთვის. და ასევე, ვნახე, რომ რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე აქედან გახდა NBA-ს წამყვანი მოთამაშე სწორედ Mega-დან. ასე, რომ ვიფიქრე, შევძლებდი მათსავით კარგად მეთამაშა ოდესმე. „სერბიის ლიგაში თამაში და შემდგომი მოვლენებიც ისე განვითარდა, რომ დღეს მე აქ ვარ. მე არ გამჭირვებია კარგად გამეგო და კარგი ურთიერთობები ამეწყო ჩემი გუნდელებისა და მწვრთნელებისათვის. ბევრს ვმუშაობდი გუნდთან ერთად. თანდათანობით მეც განნვითარდი. ბევრი შრომა ყოველთვის შედეგიანია. ამ შედეგების შედეგად დამასახელეს გუნდის მონაწილედ ბელგრადში ANCT-ის ტურნირში სათამაშოდ.

დიდი გამოცდილებაა დიდ მოთამაშეებთან თამაში, ბევრს სწავლობ მათგან. ჩემი როლი უშუალოდ ისაა, რომ გავუწიო მხარდაჭერა გუნდს დაძაბულ მომენტებში, რათა ჩემმა გუნდელებმა დაძაბული თამაშების დროს თავი უკეთესად იგრძნონ და მოტივაცია მივცე გუნდს.

თამაშის დროს ყველანაირად ვცდილობ მზად ვიყო ჩემზე უფროსი მოთამაშეების წინაადმდეგ თამაშისთვის და ვიყო მათი კონკურენტი. ჩემს თავზე ვმუშაობ, რათა მოვემზადო სხვა უკეთესი ლიგისათვის და ვმუშაობ, რათა ჩემი ნასროლი ყოველი უკეთესი იყოს, ამასთან, გამოვიყენო ჩემი სიმაღლე უპირატესობისათვის.

ბითაძემ და მისმა თანაგუნდელებმა მიიღეს საუკეთესო გაკვეთილი ANAT Belgrade-ის ღირსეულ ფინალში აგებდნენ რა 74:61, როცა Zvezda ჩამოვიდა 25:2-ზე 9 წუთის შემდეგ, „მე მივხვდი, რომ 15 წმ-ს შეუძლია შეცვალოს თამაში“ – თქვა ბითაძემ.

ასე, რომ ის ცდილობს, მაქსიმალურად შეცვალოს კალათბურთის სახე საქართველოში.

სერგული გაზეთიდან

წინ დიდი პერსპექტივებია

გარეჯელი, რომელიც მსოფლიო კალათბურთის დასაპყრობად ემზადება

დასასრული

ჯანაძის გვერდით იხსენიება, იხსენიება, როგორც პერსპექტიული კალათბურთელი, მოთამაშე და რაც მთავარია ლიდერი. გოგას ძალიან უყვარს მშობლიური კუთხე, სოფელი, იქ სადაც დიდი პაპები და ბებიები ხარობენ მისი წარმატებებით და უფრო დიდი წარმატებების მოლოდინში არიან.

და დღეს ჩვენც, დღეიდან ჩვენი გაზეთის ყველა მკითხველი, ყველა ერთად, ალბათ, მისი აქტიური გულშემატკივრები ვიქნებით, რადგან ჭიდაობის სამჭედლო – საგარეჯოს რაიონისთვის გოგა ბითაძე "პირველი მერცხალია" სპორტის ისეთ სახეობაში, როგორიცაა კალათბურთი.

წარმატებები ჩვენო გოგა!

ხსოვნა

„რაც დავიწყებით არ იბინდება“

ლენა (ელენე) ჩეკურაშვილი

... **კიდევ** ერთი ტკივილიანი გახსენება...

... კიდევ ერთი დიდებული ქალბატონის ცრემლიანი მოგონება...

40 დღეა გულში მონატრების სევდა ჩაგვედვარა...

ძვირფასი და საყვარელი ადამიანის დაკარგვა დიდი ტკივილია. მით უფრო, რომ ასე მოულოდნელად წავიდა ჩვენგან მაღალი ადამიანური ღირსებების მქონე, უმაღლესი რანგის პროფესიონალი, ყველასათვის გამორჩეულად საყვარელი ლენა მასწავლებელი, ქალი, რომელიც უფლისაგან ამქვეყნად მხოლოდ სიკეთედ, მხოლოდ სიყვარულად იყო მოვლენილი.

მან თავისი თავდაუზოგავი შრომით, ცხოვრების წესით, ოჯახის, ახლობლების, მეგობრების სიყვარულითა და ერთგულებით, ღირსეული მეუღლეობის ურთულესი ტვირთით იპოვა ამ ცხოვრების უმთავრესი „მარადისობის კანონი“.

ამ ცოდვილ მიწაზე წუთისოფლის უსწორმასწორო ბილიკები ისე გაიარა, არ წაბორძიკებულა, უფლის გზისთვის არ უღალატია. საოცრად ქალური, ნაზი და კეთილი, განათლებული, ენერგიული, ნამდვილი მასწავლებელი, ყველანაირად სასიამოვნო და საყვარელი ადამიანი იშვიათ სიმშვიდესა და კეთილგანწყობას თესავდა თავის გარშემო. დაუვიწყარი იყო მისი საოცარი გაკვეთილები, რომელთაც არაერთხელ მოუყვანია აღტაცებაში როგორც მოსწავლეები, ისე მოულოდნელი „სტუმრები“.

ღირსება და კარგი ქალობა იყო მისთვის მთავარი. წავიდა და განვლილი ცხოვრების გზა დაგვიტოვა, როგორც მაგალითი კარგი ქალობისა და ჭირთათმენისა.

უდიდესი, აუტანელი ტკივილით დაღდასმული წახვედი ამ ქვეყნიდან, ჩვენო საყვარელო ლენა. შენი ერთადერთი ვაჟაცის დაკარგვამ ცა თავზე დაგამხო, მაგრამ ჩუმად, უხმოდ, საოცარი სიმტკიცით ზიდავდი ამ უმძიმეს ტკივილს, შენს მწუხარებას თავს არავის ახვევდი.

სიცოცხლე კი გრძელდებოდა და დარჩენილ ტკივილიან დღეებს შენი ერთადერთი ლეილა, საამაყო შვილიშვილების წარმატებები, შენი ნუცას ბედნიერება და პატარა შვილთაშვილის ჟღურტული გილამაზებდა მხოლოდ...

ძალიან ძნელია შენზე წარსულში საუბარი, მაგრამ უფრო ძნელია უშენობა აწმყოში. ამბობენ, ადამიანი არ კვდებაო, მანამ, სანამ ის უყვართ, ახსოვთ და ენატრებათ. ძალიან გვაკლიხარ, ძალიან გვიყვარხარ, უკვე ძალიან გვენატრები, ჩვენო ძვირფასო ლენა. გმადლობთ, რომ ჩვენ გვერდით იყავი, სულს გვითბობდი და ცხოვრებას გვილამაზებდი.

... და მაინც, მშვიდობით!

... დროებით გემშვიდობებით, ჩვენო ძვირფასო!..

ნათელში იყავი.

ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს!

საგარეჯოს №2 საჯარო სკოლის პედკოლექტივი

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 500
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, შპს „კოლორ პრესი“-ში.
ტელეფონები: 599 502 842 599 851 143
ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru